

ფინანსური ანგარიშგება

1. წარდგენის საფუძვლები

ზოგადი მონაცემები საზოგადოების შესახებ

საწარმოს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაა – შპს, რომელიც რეგისტრირებულია 30.01.2010 წელს მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს ს/ნ 404852931, იურიდიული მისამართია ქ. თბილისი ნუცუბიძის ქ №193. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი ბინების მშენებლობა.

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური უწყისები მომზადებულია საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ფიქსირებული აქტივების ისტორიულ ღირებულებაზე დაყრდნობით. ფინანსური ანგარიშგება მოყვანილია ქართულ ლარში. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს საქართველოს კანონის "ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების" შესახებ მოთხოვნათა შესაბამისად.

საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფიქსირდება ოპერაციის მოხდენის დღისათვის ოფიციალური კურსით ლარებში. სავალუტო პოზიციების მიხედვით წარმოქმნილი კურსთა შორის სხვაობები აისახება ფინანსურ შედეგებზე

დებიტორული დავალიანება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები) აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა

შეძენილი მასალების ღირებულება აისახება შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულება განისაზღვრება იდენტიფიცირების მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ნაყიდი ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, ღონთაჟის, ტრანსპორტირების და სხვა პირდაპირ ხარჯებს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ცვეთის თანხით.

შემოსავლები და ხარჯები

საზოგადოება მუშაობს დარიცხვის მეთოდით, სადაც შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა მომსახურება გაწეული, მიუხედავად მის სანაცვლოდ ფულადი სახსრების ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა.

—შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მათი წყაროების მიხედვით;

—ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;

—წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება: დივიდენდების გასაცემად და სხვა მიზნით.

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოუწევს საზოგადოებას;

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი შედგება გასული და სამეურნეო წლის მოგებისა და სარეზერვო კაპიტალისაგან.

2. კომენტარები ფინანსური ანგარიშგებაზე .

ახსნა-განმარტებები ბალანსზე (იხ. 2019 წლის ბალანსი)

მიმდინარე აქტივები

ფულადი სახსრები (სალარო)

საწარმოში შემოსული და გაცემული ნაღდი ფული აღირიცხება საბუღალტრო პროგრამაში. სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები გამოწერილია სწორად, რომელსაც თან ახლავს დამადასტურებელი დოკუმენტები, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სალაროს ნაშთი არ გააჩნია.

საბანკო ანგარიშები

საბანკო ანგარიშებზე, ეროვნულ ვალუტაში რიცხული ფულადი სახსრების ამსახველი ანგარიშები წარმოებულია სწორად, საბანკო ამონაწერებისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ანგარიშები გახსნილი აქვს სს "საქართველოს ბანკში" და სს "პროკრედიტ ბანკში" საერთო ფულადი თანხა 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2 178 257 ლარს

მიმდინარე აქტივები

საწარმოს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომწოდებელზე გადახდილი ავანსი შეადგენს 215 566 ლარს, მოთხოვნა საწარმო პერსონალისგან 352 ლარს, საპენსიო დანარიცხი 2570 ლარი, გაცემული სესხი 1 449 155 ლარი და საგადასახადო აქტივი 48857 ლარს.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

2019 წლის მდგომარეობით საქონლის ნაშთი შეადგენს 6 870 736 ლარს.

გრძელვადიანი აქტივები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 404 884 ლარს, მათ შორის მანქანა დანადგარების ღირებულება 201 519 ლარს, ავეჯი და ინვენტარი 7 201 ლარი, სატრანსპორტო საშუალებები 189 463 ლარი და არამატერიალური აქტივი 6 701 ლარს

მიმდინარე ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიწოდებიდან მიღებული ავანსი შეადგენს 3580505 ლარს.

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 991 794 ლარს.

საკუთარი კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი საკუთარი კაპიტალი შეადგენს 6 598 078 ლარს, მათ შორის: სარეზერვო კაპიტალი 300 000 ლარი, სამეურნეო წლის მოგება 3 262 654 ლარი, გასული წლების მოგება 3 035 424 ლარი

ახსნა-განმარტებები მოგება ზარალის ანგარიშგებაზე

(იხ. მოგება ზარალის დანართი)

შემოსავლები

ფინანსური კუთხით 2019 წელს მიწოდებიდან (ბინების რეალიზაცია) მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 8 047 337 ლარი.

ხარჯები

საზოგადოების მთლიანმა დანახარჯებმა შეადგინა 4 784 682 ლარი დანახარჯებიდან ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის გაყიდული ბინების თვითღირებულებაზე 85.80 %, გასტუმრებული სესხის პროცენტი 7.14 %, შრომის ანაზრაურებაზე 3.82 %, ამორტიზაციის ხარჯი 1.68 % და სხვა ხარჯები 1.56 %. ფინანსური კუთხით 2019 წლის მოგებამ შეადგინა 3 262 654 ლარი.

ახსნა-განმარტებები ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისზე

(იხ. დანართი ფულადი ნაკადების მოძრაობაზე)

მომსახურებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი თანხა შეადგენს 8 849 632 ლარს, ფულადი გასავალმა შეადგინა 8 459 740 ლარი, 2019 წლის საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის საზოგადოების ფულადი სახსრები

შეადგენდა 1 788 326 ლარს, ხოლო პერიოდის ბოლოსათვის გაიზარდა 480 728 ლარით და შეადგინა 2 178 219 ლარი.

ფულადი გასავლის ხვედრითი წილის იძლევა შემდეგ სურათს: სესხისა და პროცენტის დაფარვა 31.23 %, მასალების ღირებულება 30.55 %, გადასახადები 15.81 %, მომსახურების საფასური 9.30 %, გაცემული ხელფასი 6.78 %, გაცემული დივიდენდი 4.94 % და სხვა ხარჯი 1.39 %.

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

(იხ. დანართი კაპიტალის მოძრაობაზე)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშიდან ჩანს, რომ გასანაწილებელი მოგება 2019 წელს გაიზარდა 3 262 654 ლარით, სარეზერვო კაპიტალი შეადგენს 300 000 ლარს, საბოლოოდ საზოგადოების მთლიანი კაპიტალი შეადგენს 6 598 078 ლარს.

დირექტორი:



მთ. ბუღალტერი:



2019 სამეურნეო წლის ანგარიშის დანართი №1

შპს ~ფენიქსი~

ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	2018 წ.	2019წ.
მიმდინარე აქტივები:		
ფულადი სახსრები	1788326	2178257
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	82910	215566
მოთხოვნა საწარმო პერსონალის მიმართ	235	352
საპენსიო დანარიცხი	0	2570
საგადასახადო გადასახადების აქტივი	0	48857
გაცემული სესხი		1449155
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7478407	
6870736		
მთლიანი მიმდინარე აქტივები:	9349878	10765493
გრძელვადიანი აქტივები:		
ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება	218790	398183
არამატერიალური აქტივები.	7794	6701
სულ გრძელვადიანი აქტივები:	226584	404884
სულ აქტივები	9576462	11170377

პაღდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები:

მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი		
მიღებული ავანსები ვალდებულებები	3906873	3580505
სასესხო ვალდებულებები	1810636	991794
საგადასახადო ვალდებულებები:	56633	0
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები:	5774142	4572299

საკუთარი კაპიტალი

სამეურნეო წლის მოგება	2236963	3262654
გასული წლების მოგება	1480357	3035424
სარეზერვო კაპიტალი	85000	300000
მთლიანი საკუთარი კაპიტალი:	3802320	6598078
სულ პაღდებულებები და საკუთარი კაპიტალი:	9576462	11170377

შპს "ფენიქსი"-ს

დირექტორი

მო გუდალაძე

შპს
~ ფენიქსი ~

2019 სამეურნეო წლის მოგება-ზარალის ანგარიში

	2018წ.	2019წ.
ამონაგები	5650668	8047337
გაყიდული ბიწების თვითღირებულება	(2834922)	(4105198)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	(4260)	(4035)
სესხის პროცენტი	(185458)	(341544)
ხელფასის ხარჯი	(180050)	(182903)
საპენსიო დანარიცხი	(0)	(9973)
არასაოპერაციო ხარჯები	(141822)	(15226)
ძირ. საშუალებების რემონტი	(958)	(1409)
ქონების გადასახადი	(2555)	(3157)
ამორტიზაცია	(50835)	(80565)
მიწის გადასახადი	(3636)	(3644)
დაზღვევა	0	(7025)
აუდიტორული მომსახურეობა	0	(4500)
საწვავის ხარჯი	0	(12925)
საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯები	0	(8539)
სხვა ხარჯები	(9228)	(4039)
სულ ხარჯები	(3413705)	(4784682)
მოგება/ზარალი	2236963	3262654

შპს "ფენიქსი"-ს

დირექტორი:

მთ. გულალტყერი:

შპს „ფენიქსი“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

დანართი №3

***	გასანაწილ ებელი მოგება	რეზერვები	დაუთარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3717320	85000		3802320
2019 წლის მოგება(ზარალი)	3047654	215000		3262654
გაცემული დივიდენდი	(466896)			(466896)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6298078	300000		6598078

შპს „ფენიქსი“
დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:



2019 სამეურნეო წლის ანგარიშის დანართი №4

შპს ~ ფენიქსი ~

2019 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2018წ.	2019წ.
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1307598	<u>1788326</u>
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული შემოსავალი	8118191	8849632
მასალების შეძენა	(2858629)	(2584435)
გაცემული ხელფასი	(645459)	(573646)
გადახდილი დღგ	(884007)	(1084626)
მიწის გადასახადი	(3635)	(3635)
ქონების გადასახადი	(6458)	(5099)
საშემოსავლო	(161365)	(193335)
მოგების გადასახად		(50987)
მომსახურეობის საფასური	(308968)	(786587)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	(32152)	(29073)
საპენსიო ანარიცხები		(18485)
არასაოპერაციო ხარჯები	(14393)	(4655)
ძირითადი საშუალებები	(1558228)	(55072)
სესხის გაცემა	(425714)	(2341996)
გადახდილი დივიდენდები	(498000)	(417500)
სესხის პროცენტის დაფარვა	(222067)	(300037)
სხვა ხარჯები	(18388)	(10533)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო მიზნებისათვის	<u>(7637463)</u>	<u>(8459701)</u>
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლო	1788326	<u>2178257</u>

შპს "ფენიქსი"-ს
დირექტორი:

მთ.გულალტაიერი: